ცნობის ფურცელი

№ 2374 პარასკევი, 9 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2374

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმ. 38.

ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დამნაშავეა

დრამა 3 მოქმ. ნიკიტინისა

II

პარიკ-მახერისას

ვოდ. 1 მოქმ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ** „მუშაკი და ნებიერი“.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 10 იანვარს, 1904 წ., ბ. ამირჯანის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

აფრიკელი ქალი

ოპერა 5 მოქ. მეიერბერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ენკვისტ, კარტავინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯან, თულაევი, კლიუზნერ, სანგურსკი, გრინევი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 11 იანვ. ორი წარმ. დილით „სნეგუროჩკა“, სალ.—ბენეფ. პრიმა-ბალერინას ბიანკა ჯელატოსი; წარმ. იქ. „კამორა“ და ბალეტები“. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. **ჟიჟინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. **ივ. კამოევი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. **ტ. მულინ**.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. **გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. **დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. **მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. **ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბე ,ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. **მ. სობოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. **მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. **გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან უთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი

. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

ებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე.
ობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმე-
9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

შაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სა-
ს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახ-
№ 46. წლ.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს
ველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღე-
ს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით
ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი
7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი
ტიპარმაკლიძისა. (0—6.—29)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1
3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24
ლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ამას წინად ზოგიერთ გაზეთს ცნობა მოუვიდა, ვითომ ომი კიდევაც დაწყებულიყოს და რუსეთისა და იაპონიის ფლოტს ერთმანეთთან შეტაკებაც მოჰსვლოდეთ, ვითომ შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალ იაპონიის გემებს ხმელთა-შუა-ზღვაში ბიზერტას ახლო რუსის კრეისერები დასცემოდნენ და სხვ. ამისთანაები, მაგრამ ეს ცნობები სულ ტყუილი გამოდგა. რუსეთი და იაპონია დღესაც მშვიდობიან მოლაპარაკებას განაგრძობენ და ყოველნაირად ცდილობენ, სისხლის ღვრა და დიდი სამხედრო ხარჯები თავიდან აიცილონ, თუმცა კი ორივე სახელმწიფო არც ომის თადარიგს ივიწყებენ.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: იაპონიის ელჩმა ბარონ გაიაშიმ ლონდონში სთქვა: იაპონიის იმპერატორიც რუსეთის იმპერატორზე არა ნაკლებ ცდილობს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვეს და სისხლის ღვრა არ მოხდესო.

იაპონიამ თავისი პასუხი რუსეთს ჩააბარა კიდეც და იმედი აქვს, რომ რუსეთიც მალე გაუგზავნის საპასუხო ნოტას. თუ ზოგიერთს მცოდნე კაცს დავუჯერებთ, შორეულ-აღმოსავლეთის საქმე ეხლა კი მალე გადასწყდება: იაპონია და რუსეთი ან საბოლოოდ მორიგდებიან, ან ომს დაიწყებენო.

ამას გარდა, მცოდნე კაცები ირწმუნებიან, დიპლომატიურ მოლაპარაკებაში უფრო იაპონია იმარჯვებს და უფრო „ამომავალ მზის ქვეყანას“ გააქვს თავისიო.

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ლონდონში მცხოვრებ იაპონელებს მეტად გაუხარდათ ჩინეთთან დადებულ ხელ-შეკრულობის დამტკიცება. გამოჩენილმა იაპონელმა დიპლომატმა უთხრა „პალ-მალ-გაზეთ“-ის თანამშრომელს:

ჩინეთთან დადებულ ხელ-შეკრულობის დამტკიცებამ მეტად გაგვიადვილა საქმე, ეხლა უფრო თამამად განვაგრძობთ მოლაპარაკებას კორეისა და მანჯურიის თაობაზე. რუსეთის უფლება მანჯურიაში ეხლა ძლიერ შეირყა. ამას იქით ამერიკელებიც ჩვენ გაგვიწევენ დახმარებასაო.

ამავე საქმეზე ერთს ინგლისელ დიპლომატს „ნოიე ფრაიე პრესე“-ს ლონდონელ კორესპონდენტისათვის უთქვამს: „ამ სავაჭრო ხელ-შეკრულობის დამტკიცებით, ჩინეთმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს და იქნება სულაც რუსეთის დარიგებით დაამტკიცა ეს ხელ-შეკრულობა. საკვირველია, რომ აქამდე ეს ფიქრადაც არავის არ მოუვიდა. მართლაც და რუსეთი ეხლა უფრო გულდამშვიდებით დაუთმობს იაპონიას, რადგან საქმეში ამერიკაც გაერია: წინად რუსეთი უფრო იმიტომ იჭერდა მაგრად საქმეს და იაპონიას არას უთმობდა, რომ სახელის გატეხისა ეშინოდა. აკი დღეს დეპეშამაც ამბავი მოიტანა, რუსეთი ყველა სახელმწიფოს უფლებას მანჯურიაში პატისცემით მოექცევაო.

რუსეთის წინადადება კორეის თაობაზე

რუსული გაზ. „ბირჟევი ვედომოსტ“-ი სწერს: ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ გიჟად ჩავაგდებდით, რომ ვისმეს ეთქვა, იაპონიას კორეიაზე პროტექტორატის უფლება მივსცეთო. ეხლა-კი ჩვენშიაც და საზღვარ-გარედაც იმ აზრს დაადგნენ, რომ იაპონია უომრად, მარტო დიპლომატიურის მოლაპარაკებით დიდს უფლებასა და უპირატესობას მოიპოვებს კორეიაშიო.

გერმანული გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: კორეის თაობაზე რუსეთმა ასეთი წინადადება მისცა იაპონიას:

1. იაპონიას სხვა-და-სხვა უფლება მიეცემა კორეიაში.

2. სამხრეთ-კორეიაში იაპონელებს ვაჭრობისა და ჯარის ყოლის ნება ეძლევათ.

3. ჩრდილოეთ-კორეიაში რუსეთი იაპონიას ვაჭრობის უფლებას აძლევს, მაგრამ იაპონიას უფლება არა აქვს სამხრეთ თუ ჩრდილოეთ კორეიაში მუდმივი ციხეები აიშენოს,—არც ზღვის ნაპირას, არც შუაგულ კორეიაში.

4. კორეისა და მანჯურიის საზღვარზე მდინარე იალუსა და ტუმენის ნაპირზე მდებარე ადგილი 50 კილომეტრის სიგანეზე ნეიტრალურად გამოცხადდება; ამ ადგილებში არც რუსეთს, არც იაპონიას ციხეების აშენების უფლება არ ექნებათ. კორეის სრუტე ნეიტრალური უნდა იყოს, ე. ი. რუსეთის გემებს ამ სრუტეში სიარულის ნება უნდა ჰქონდეთ.

5. მანჯურიის თაობაზე წარდგენილ პირობებს რუსეთი არა სთანხმდება, მაგრამ იაპონიასა და სხვა სახელმწიფოებს დიდის ხალისით მისცემს უფლებას, მანჯურიაში თავიანთ სავაჭრო ინტერესების წარმომადგენლები იყოლიონ.

გერმანია და იაპონია

მთელი ქვეყნიერობა შორეულ-აღმოსავლეთისაკენ იცქირება, ყველა მოუთმენლად მოელის იქიდან მიღებულ ცნობასა და დეპეშას. რასაკვირველია, გერმანელებიც ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს ამ საქმეს. ინგლისელნი და ამერიკელები თითქმის ერთპირად თანაუგრძნობენ იაპონელებს. ვნახოთ ეხლა გერმანელები რაღა თვალით უყურებენ რუსეთსა და იაპონიას. „რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ამ საგნის თაობაზე: „ტელეგრაფს ყოველ დღე მრავალი დეპეშა და ცნობა მოაქვს შორეულ-აღმოსავლეთიდან: ფაქტები, ხმები, ჭორები, ნამდვილ და ტყუილ დიპლომატებთან საუბარი, იაპონურ და რუსულ გაზეთების აზრები, ცნობები ჯარისა და ფლოტის მოძრაობაზე—აი ამითაა სავსე აქაური გაზეთები. ერთი ცნობა მეორეს ეწინააღმდეგება, აქაური საზოგადოება ხან ყოველ წამს ომს მოელის, ხან სულ გადიწყვეტს ხოლმე ომის იმედს. ყოველ წვრილმან ცნობასაც კი დიდის ყურადღებით ეკიდებიან; ბირჟის ოსტატები დიდს ფაცაფუცში არიან; პრუსიის გვარდიელები და დიპლომატები ულვაშებს იგრეხენ და ჩუმ-ჩუმად ამბობენ: მართალია რუსეთთან მეგობრადა ვართ, მაგრამ მაინც ურიგო არ იქმნება, რომ ჩვენი მეზობელი იქ შორეულ აზიაში სახიფათო საქმეში გაებას და ცოტათი მაინც სისხლიდან დაიცალოსო. გერმანელები ინგლისელებივითა და ამერიკელებივით არ თანაუგრძნობენ იაპონელებს, მაგრამ არც თუ რუსეთს უცქერიან კეთილის თვალით. ვინც თავის თავს რუსეთის მეგობრადა სთვლის, ისიც კი გაკვირვებით ამბობს: რა გინდათ ქ მანჯურიასა და კორეიაში? განა შინ, თქვენ საკუთარ უზარმაზარ ქვეყანაში ცოტა საქმე გაქვთ გასაკეთებელი“-ო?

საუბარი სარაფოვთან

მაკედონელების მეთაურს ბორის სარაფოვს რომში ყოფნის დროს იტალიელ ჟურნალისტებთან მაკედონიის საქმეზე უსაუბრნია და შემდეგი უთქვამს:

მაკედონელები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აჯანყდებიან გაზაფხულზე, თუ საქმეში ინგლისი, საფრანგეთი და იტალია გაერევიან. თუ ვინიცობაა აჯანყება დაიწყო, სარაფოვს იმედი აქვს, რიჩიოტი გარიბალდი თავისუფალ მეომრების რაზმით მაკედონელებს მიეშველებაო, თუ, რასაკვირველია, იტალიის მთავრობამ არ დაუშალაო. ეჭვი არა მაქვს, რომ ბოლგარია და სერბია უთუოდ საქმეში გაერევიან. სამს კვირაზე ორივე სახელმწიფო 700 ათას ჯარის კაცს გამოიყვანენ საომრად და ხელად შეიჭრებიან ოსმალეთის სამფლობელოში. ოსმალეთი კი სამ კვირაზე 300 ათას ჯარის-კაცს ძლივს დაამზადებს. გამარჯვება უსათუოდ სერბიასა და ბოლგარიას დარჩება, რადგან ოსმალოს ოფიცრებმა სამხედრო საქმე კარგად არ იციან. ბერძნებს არაფერი ეროვნული უფლება არა აქვთ მაკედონიაში; ბერძნები მხოლოდ აქა-იქ ქალაქებში დგანან, სოფლებში კი სულ არა ცხოვრობენ.

დასასრულ სარაფოვს ქებით მოუხსენებია მაკედონელთა პოლიტიკური განვითარება და უთქვამს: „მე და ჩემი ამხანაგები მაკედონიაში კარგს წესებს დავაწესებთ. გთხოვთ, ჩემი ნათქვამი პრუსიელ გენერალ ფონ-დერ-ჰოლცს გადასცეთ. ეს გენერალი ირწმუნებოდა, ოსმალები რომ არ იყვნენ, მაკედონიის სხვა-და-სხვა ერები ერთმანეთს დასჭამდნენო!“

ერთს ჟურნალისტს უკითხავს სარაფოვისათვის: ავსტრიამა და რუსეთმა მაკედონიაში რომ ჯარები შემოიყვანონ და წესიერება ძალით აღადგინონო?—სარაფოვს მიუგია: მით უფრო კარგი იქნება ჩვენთვის, მაშინ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია უთუოდ საქმეში გაერევიან და ჩვენი საქმე საბოლოოდ გადასწყდებაო.

სარაფოვს უთქვამს, ევროპაში ყველაზე ნაკლებ ჩვენ საქმეს გერმანელები თანაუგრძნობენო.

განხეთქილება ფრანგ რადიკალ-სოციალისტების პარტიაში

დეპეშამ მოკლედ გვაცნობა, რადიკალ-სოციალისტების პარტიაში განხეთქილება მოხდა და 65 დეპუტატი პარტიას მოჰშორდაო.

ეხლა ფრანგული გაზეთები იუწყებიან: ეს განხეთქილება ვიცე-პრეზიდენტების ამორჩევამ და ჟორესის გაშავებამ გამოიწვიაო. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭი ყველა წინანდელმა 4 ვიცე-პრეზიდენტმა იყარა. ამათგან ეტიენი, ლოკრუა და ჟორესი მთავრობის მომხრე უმეტესობას ეკუთვნიან, გილენი კი პროგრესისტების (მელინისტების) ჯგუფის წევრია. ამათ გარდა კიდევ ორმა დეპუტატმა დაიდგა ყუთი: რადიკალმა ჟერვილ-რეაშმა და დიუბიეფმა. დიუბიეფი რადიკალ-სოციალისტების ჯგუფმა დაასახელა თავის კანდიდატად. თუმცა მარცხენა პარტიის ყველა ჯგუფმა ადრევე დაადგინა, ისევ წინანდელი ვიცე-პრეზიდენტები ავარჩიოთო, მაგრამ არჩევნის დროს მარცხენა პარტიის დეპუტატებს ჟერვილ-რეაშისა და დიუბიეფისათვისაც დაეჭირათ მხარი. ამიტომ ჟორესმა მეტად ცოტა ხმა მიიღო და ვიცე-პრეზიდენტის ადგილი დაჰკარგა. როცა არჩევნის რეზულტატი გამოაცხადეს, ბევრს რადიკალ-სოციალისტს ჯავრი მოუვიდათ ჟერვილ-რეაშსა და დიუბიეფზე: ჟორესის გაშავება სულ ამათი ბრალიაო. ბოლოს ისიც გაიგეს, რომ დიუბიეფი რადიკალ-სოციალისტების მცირე ჯგუფს დაე-

სახელებინა თავის კანდიდატად. ამიტომ ვინც დიუბიეფის მომხრე არ იყო, ყველამ გადასწყვიტა: რაკი ჩვენმა ამხანაგებმა დისციპლინა დაარღვიეს, ამიტომ პროტესტის ნიშნად პარტიიდან გავიდეთო. ჯერ 50 დეპუტატი გავიდა პარტიიდან, მერე კიდევ 15-ც მიემატათ. 50 რადიკალ-სოციალისტმა თავიანთ პარტიის თავმჯდომარეს შემდეგი განცხადება ჩააბარეს: „დიუბიეფის მომხრე რადიკალ-სოციალისტების ჯგუფმა დიდი დანაშაული ჩაიდინა და დისციპლინა მთლად დაარღვია. ეს ჯგუფი, ეტყობა, სოციალისტებთან დადებულ ხელ-შეკრულობის დარღვევასაც ცდილობს. ჩვენ ვერ დავსთანხმდებით ამნაირ პოლიტიკას, რადგან სოციალისტებს სულითა და გულით თანავუგრძნობთ და მათი პროგრამაც ძლიერ უდგება ჩვენ პროგრამასაო“.

ახალი ამბავი

◆ ამას წინად სწერდნენ, მთავრობას აზრადა აქვს კავკასიის ზოგიერთ ოლქებში **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო** შემოიღოსო. ეხლა „პეტ. ვედ.“ სწერს, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულიაო. ამ საგანს იუსტიციის სამინისტრო მხოლოდ განიხილავს, ისიც მომავალ შემოდგომაზე არა ადრე.

◆ 6 იანვარს ტფილისში გაიმართა **ბალი სათავად-აზნაურო სკოლის** სასარგებლოდ. ბალს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალი, როგორც ამბობენ, ორას თუმნამდეა.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა და სასწავლებელთა გამგე-კომისიის თავმჯდომარემ დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც შესაძლებელია ქალაქმა **საკუთარი შენობები** აგოს სასწავლებლების მოსათავსებლად. ორი ადგილი გამგეობამ უკვე მოიწონა. ნიკოლოოზის ქუჩაზედ ქალაქს აქვს 200 ოთხ-კუთხი საჟენი და ანდრეევისაზე 400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის თავმჯდომარემ თავ. ვ. ს. მიქელაძემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს 2500 მან. ქალაქის ყველა **სასწავლებლისათვის ბუნდოვან სურათების მაჩვენებელ ფარნების** შესაძენად.

◆ **ბათუმის პოლიცმეისტერის** თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწე კაპიტანი ჩიქოვანი. ეხლანდელი პოლიცმეისტერი პოდპ. ლოვენი ართვინის ოლქის უფროსად გადაიყვანეს.

◆ როგორც „კავ.“ სოხუმიდან დეპეშითატყობინებენ, 5 იანვარს ვიღაც **ბოროტგანმზრახველნი თავს დასცემიან სოფ.** მერხეულის მახლობლად ზაუერის სახლს. საპოლიციო დარაჯებს სამი კაცი მოუკლავთ.

◆ ტფილისის სამხედრო საკრებულომ დაამთავრა იმ ყმაწვილ-კაცთა სიების შედგენა, რომელთაც **კენჭის ამოსაღებად** წელს დაიბარებენ. სიით კენჭის ამოსაღებად გაწვეული იქმნება 550 კაცი. სიას გამგეობაში გამოჰკიდებენ და სიაში აღნიშნულთ თუ რაიმე შეცდომა შენიშნეს, უნდა აცნობონ საკრებულოს შესასწორებლად.

◆ დღემდის **მომრიგებელ შუამავლების თარჯიმანებს** თვით შუამავლები ინიშნავდნენ, ახლა ეს უფლება საგლეხო საკრებულოს მიენიჭა.

◆ კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ქუთაისის გუბერნიაში თავის აგენტებს გაუგზავნა ახლად შედგენილი და დაბეჭდილი წიგნაკები **სიმინდის ჩრჩილთან** ბრძოლის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ლ. თ. ტიგრანოვმა გადასცა ქალაქის გამგეობას განცხადება საბჭოში შესატანად. განცხადებაში ნათქვამია, ხელ-შეკრულობის ძალით, ქალაქის თვითმმართველობას ნება არა აქვს მოსთხოვოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას 400,000 მან. ქუჩებისა და მოედნების გაფართოვებისთვის ადგილების შესასყიდად. ხმოსანი სთხოვს საბჭოს, ამოარჩიოს კომისია და იმას დაავალოს: 1. გამოიკვლიოს, რამდენად სასურველი და მოსახერხებელია ქალაქის შუაგულიდან აბანოებამდე ერთის დიდისა და ფართო ქუჩის გაყვანა, რისთვისაც შესყიდულ უნდა იქმნას ადგილები და 2. გამოიკვლიოს, საკმაო იქმნება უსახელო საზოგადოებისაგან მისაღები 400,000 მანეთი თუ არა.

◆ 8 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-ტეხნიკოსთა შეერთებულმა სხდომამ განიხილა საამშენებლო განყოფილების მიერ შედგენილი მოხსენება წყლის მილისათვის **ახალ ფილტრების** გამართვის შესახებ. როგორც ა ვწერდით, გამგეობამ მოიწონა პეშას სისტემის ფილტრები და კიდეც გადასდო ამ საქმისთვის 50,000 მანეთი. შეერთებულმა სხდომამ მოიწონა საამშენებლო განყოფილების მოხსენება და დაადგინა, წინადადება მისცეს პეშას, შეადგინოს დაწვრილებითი პროექტი ახალის ფილტრების გასამართავად იმ პირობით-კი, რომ ამ ფილტრებს შეეძლოს ქალაქისათვის დღე-ღამეში 500,000 ვედრა წყლის მიცემა. პროექტის შესადგენად გადაიდვა 7000 მ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის მოხსენება **სამკურნალოს დიდუბის განყოფილების** გამგის დანიშვნის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, ამ საკითხის შესახებ მსჯელობა იქონიოს მაშინ, როცა დამტკიცდება 1904 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ამასთან გამგეობამ დაავალა სამკურნალო საბჭოს, წარუდგინოს კანდიდატები აღნიშნულ თანამდებობაზე.

◆ ნიგოზნის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მ. გ. თევზაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „უგულითადეს მადლობას ვუცხადებ სოფელ ნიგოზნის მცხოვრებს ბ-ნს ბაგრატ დ. თარგამაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდამო რწმუნებულს ნიგოზნის სამრევლო სკოლას შემოსწირა ჟურნალ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ დასაკვეთად 8 მანეთი, რაიცა, თანახმად შემომწირველის სურვილისა, წარვუდგინე რედაქციას და ეხლა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უკვე მოსდის ხსენებულს სკოლას“.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ახალ შენობის საამშენებლო კომისიის საქმის მწარმოებელი და შენობის მეთვალყურე დ. მ. ღუმბაძე დაინიშნა სათავად-აზნაურო სასწავლებლის სათვალთო ნაწილის გამგედ.

◆ მსროლელ ჯართა ბრიგადის გამგეობამ გუშინ შეატყობინა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ბრიგადის გამოსაცდელად სროლაა დანიშნული 9 და 13 იანვრისათვის. ბრიგადა სროლას გამართავს 9 იანვარს კუკიის ტბასთან, ხოლო 13 იანვარს ტახტის გორასთან. ბრიგადის გამგეობა სთხოვს პოლიცმეისტერს, აცნობოს მცხოვრებთ, რომ ამ დღეებში აღნიშნულ ადგილებისაკენ არ გაიდნენ, რათა უბედურება არა შეემთხვეთ-რა.

◆ ამას წინად ტფილისის დედათა მეორე საკვირაო სკოლის გამგემ სთხოვა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, მიეცა სკოლისათვის 300 მანეთის ნაცვლად, როგორც აქამდე ეძლეოდა, 400 მან. კომისიამ შეიწყნარა ეს თხოვნა. ეს დადგენილება კომისიამ გუშინვე წარუდგინა განსახილველად ქალაქის გამგეობას.

◆ ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ეხლავე შეაკეთონ არსენალის გზა-ტკეცილი, რომელიც ძალიან არის გაფუჭებული.

◆ ბაიაზეთისა და პეტრე-პავლეს ქუჩის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული აღნიშნულ ქუჩების მოსაკირწყლავად.

◆ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ხორცის დუქნების გამგე კომისიის საყურადღებოდ, რომ კუკიის დუქანში საქმე ვერ არის რიგიანად მოწყობილი. წესდებით ხორცის გაჭრობა უნდა დაიწყონ საღამოობით $5^1/_2$ საათზედ. ამ დროს დიდძალი ხალხი მოდის, მაგრამ ხორცი არ არის დამზადებული და მყიდველებს თითქმის მთელი საათობით უხდებათ ცდა. კარგი იქნება, დანიშნულს დროზედ იყიდებოდეს ხორცი, თუ არა სხვა დრო დანიშნონ.

◆ სოფ. ბარისახოში (ხევსურეთი) დაარსებულა საფერშლო პუნკტი. ფერშლად დაუნიშნავთ ახალგორის საავადმყოფოს ფერშალი, რომელსაც თავის ჯამაგირს გარდა ხევსურებმა თვეში 10 მანეთი უნდა მისცენ.

◆ მთიულეთში (ქვიშეთის [illegible]) მცხოვრებთა შორის ამ ჟამად [illegible] მძვინვარებს თურმე.

◆ ამას წინად ტფილისის დედათა გადამდები სენით საავადმყოფოს გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული აღნიშნულ საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად. გამგეობამ დაადგინა, ეს მოხსენება განიხილოს მაშინ, როცა მთავრობა 1904 წლის დამატებით ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგს 3 იანვარს სატეხნიკო და საპროფესიონალო მოღვაწეთა მესამე კრების 300 წევრმა ლ. ტოლსტოის და ვ. კოროლენკოს ახალი წელი შემდეგი დეპეშებით მიულოცა: „ლევ ნიკოლოოზის ძე ტოლსტოის: სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა კრების 300 წევრი ერთხმად სალამს უძღვნის თავის ძვირფას მასწავლებელს და ჭეშმარიტების დიდებულ მქადაგებელს“. ვლ. კოროლენკოს: „სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა კრების წევრნი სალამს უძღვნიან ნიჭიერ სიტყვის მხატვარს, დაჩაგრულთა მედგარ დამცველს და ეროვნულ სიძულვილის წინააღმდეგ მებრძოლს“.

◆ წარსულ წლის დეკემბერში სიმბირსკის საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრება მოხდა. კრების უმთავრესი საგანი თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარებელ კასსის დაარსება იყო. ზოგიერთმა თავად-აზნაურმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამისთანა კასის დაარსება ხაზინის დახმარებით არა სასურველიაო, ჩვენ იმ ფულით უნდა ვისარგებლოთ, რომელიც სხვა კლასთა გადასახადიდანაც დგება; ეს კი იმ კლასთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რომელიც ჩვენის კასსით არ ისარგებლებსო. ამ წინადადებამ თავად-აზნაურობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ორის დღის კამათის შემდეგ უმეტესობამ კასის დაარსება გადასწყვიტა.

◆ ამ ცოტა ხანში ბლაგოვეშჩენსკის სასულიერო სემინარიის სამოსწავლო კურსის ცვლილება მოხდება. პროგრამიდან ამოშლილი იქნება ახალი ენები, ლათინური და ფილოსოფია. მათ მაგივრად ასწავლიან სასოფლო მეურნეობას, მედიცინას და ერთ-ერთ ადგილობრივ (განზრახული აქვთ ბურიატული) ენას.

◆ ვარშავის უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის ზოგიერთ სტუდენტებს შეუკრებიათ 6000 მან. და ქალაქის ერთ დიდ ქუჩაზე გაუხსნიათ მაღაზია, სადაც სამოსწავლო ნივთების ჰყიდიან. სავაჭროებს თვით სტუდენტები ჰყიდიან, რაიც საზოგადოებას და უფრო კი ახალგაზდა ქალებს ძალიან იზიდავს. მაღაზიას იმდენი ხალხი აწყდება, რომ

ფელეტონი

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები

(პრ. დოც. უსტინოვის წიგნაკის შესახებ*)

რას თხოულობს ეროვნება, რა შეადგენს შინაარსს ეროვნულ იდეისას? ყოველს ერს უნდა მიენიჭოს უფლება საკუთარის ენისა, საკუთარის სარწმუნოებისა, მიზნისა და ინტერესებისა. გარდა ამისა ზოგი მეცნიერი თხოულობს აგრეთვე, რომ ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო წეს-წყობილება, ეროვნული იდეის განხორციელება ეროვნულ სახელმწიფოში.

ბ. უსტინოვი წინააღმდეგია ამ უკანასკნელის აზრისა; უარჰყოფს ეროვნულ სახელმწიფოს საჭიროებას, მაგრამ ამასთანავე უარჰყოფს სრულიად ეროვნულის იდეის საჭიროებასაც დღეს. ეროვნულმა სახელმწიფომ თავისი როლი ითამაშა, ამბობს უსტინოვი, დაამხო წინანდელი დინასტიური აბსოლიუტური სახელმწიფო, რომლის სახელმძღვანელო პრინციპი იყო: „სახელმწიოფო—მეფეა, იგია ძალა და ნება მთელის ხალხისა“. წინად მეფის და ხალხის უფლებანი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ. ეს იყო დრო ფიზიკურის ძალის, ძალმომრეობის ბატონობისა და ხალხის ინტერესების დავიწყებისა. ეს დრო მშვენივრად დაახასიათა ფრიდრიხ მეორემ, რომელმაც თქვა: „ზეციერი სამეფო მოიპოვება მოთმინებით, აქაური-კი—ძალით“. ეროვნულმა იდეამ ბოლო მოუღო ასეთს სახელმწიფოს. მაგრამ, სწერს უსტინოვი, ეროვნულმა სახელმწიფომ ვერ მოიტანა სრული კმაყოფილება და მშვიდობიანობა. ეროვნული სახელმწიფო ყოველგან ვერ არის ჯეროვანად მოწყობილი; ბევრგან ეროვნულმა სახელმწიფომ დაამახინჯა აზრი ეროვნულის იდეისა და ის ერები, რომელთაც აქვთ ეროვნული სახელმწიფო, ჩაგრავენ და ავიწროვებენ ქვეშევრდომ ერებს. გარდა ამისა, ეროვნულ სახელმწიფოს იდეას ბევრი შინაგანი ნაკლულევანებაც აქვს. მას შემდეგ, რაც ეროვნულმა სახელმწიფომ შეასრულა თავისი როლი—დაამხო დინასტიური სახელმწიფო, მეცნიერები ეროვნულ სახელმწიფოს იცავენ ფსიხოლოგიურის მოსაზრებით. გრადოვსკი სწერს: „ეროვნება ზრდის ადამიანის პიროვნებას, რადგან თვითონ არის ზნეობრივი კოლექტივური პიროვნება“. ერთის ინგლისელის სწავლულის აზრით, ეროვნებაში ყველაზე უფრო შესაძლებელია ცხოვრების სრული ჰარმონია. შპრინგერი ეროვნებას უერთებს უფლებას: დღევანდელის სახელმწიფოს მოღვაწეობა გამოიხატება უმთავრესად უფლების განხორციელებაში, და ეს მოღვაწეობა მაშინ იქმნება ნაყოფიერი, როდესაც უფლება არამც თუ გადმოცემული იქმნება ეროვნულ ენაზე, არამედ თავის შინაარსითაც შეეფერება ეროვნულს სულს, მის თვისებებს და ხასიათს. ხოლო ბ. უსტინოვის აზრით, სხვა-და-სხვა ერის უფლებათა შორის არ არის ისეთი განსხვავება და რაც არის, ისიც თან-და-თან ისპობა, ხდება უნივერსალიზაცია უფლებისა, მთელის კაცობრიობის უფლება ერთი სახის იდეის. უსტინოვი უარჰყოფს ეროვნულის ინტერესების არსებობასაც: ერი შესდგება სხვა-და-სხვა სოციალურ კლასებისაგან, მაშასადამე ერში სხვა-და-სხვა კლასური ინტერესები არსებობსო.

ამგვარად გამოდის, რომ ეროვნება არც არსებობს. ბ. უსტინოვი აქ თავის თავს უარჰყოფს. როდესაც იგი გვიმტკიცებს, რომ ეროვნულმა სახელმწიფომ დაამხო დინასტიური სახელმწიფო, მაშინ მისთვის ეროვნება ფაქტია. ხოლო როდესაც ეხება დღევანდელს საკითხს და არა ისტორიას, მაშინ თითქოს შიშობს, უკან იხევს და თითქმის უარჰყოფს ეროვნებას. საჭიროა, პირდაპირ და გადაჭრით დავაყენოთ კითხვა: რა არის ერი? იგი არის სულიერი, გონებრივი და ზნეობრივი ერთობა. არსებობდა ეს ერთობა, როდესაც ერი წინააღუდგა დინასტიურ და აბსოლიუტურ სახელმწიფოს? თუ არსებობდა მაშინ, როგორ მოისპო დღეს? განა მაშინ არ იყო ერში სხვა-და-სხვა კლასიური ინტერესები, ერთის ერის უფლების ზოგიერთი ელემენტი არ ემსგავსებოდა მეორე ერის უფლების ელემენტებს? აქ მხოლოდ ერთი გადაჭრილი პასუხი შეიძლება: ეროვნული ერთობა არსებობდა და არსებობს.

ბ. უსტინოვს უნდა შეარყიოს ეროვნული იდეა, როდესაც ლაპარაკობს დღევანდელ ეროვნულ სახელმწიფოს შესახებ. შეიძლება მას რისიმე შიში ჰქონდეს. დავდვათ პატივი მის შიშს და გამოვყოთ ეროვნული სახემწიფო, ვსთქვათ, რომ არ არის საჭირო ეროვნული სახელმწიფო. მაგრამ ამით განა ისპობა ეროვნული იდეა, ეროვნება, ეროვნული ერთობა, ეროვნული პრინციპი? სრულებითაც არა. ეს მეტად აშკარაა ყველასათვის, ეს იძულებულია აღიაროს ბ. უსტინოვმაც, თუმც ეხლა სხვა მოსაზრება აქვს და უნდა ეროვნულის იდეის შემწეობით უარჰყოს ეროვნულის სახელმწიფოს საჭიროება დღეს.

თუ ერი,—ამბობს უსტინოვი:—სულიერი პრინციპია, თუ ეროვნებას შეადგენს ერ- ბა ისტორიული მოგონებათა, ერ- გრძნობათა და მისწრაფებათა, მაშინ ე- ნული ინტერესები სულიერის, იდეურის, სიათისანი იქნებიან. მაგრამ ყველასაგან- არებულია, რომ სახელმწიფო რაც შეიძ- ნაკლებ უნდა გაერიოს სასულიერო ი- რესების საქმეში. სახელმწიფოს არ ძალ- ვისმე ძალად შეაყვაროს რამე, როგორ- შეუძლია ძალად აღუძრას ვისმე სარწმუ- ბა. ეროვნული გრძნობა უფრო ნაზი გრძ- ბაა, ვიდრე სარწმუნოება, და თუ სარწ- ნოება სახელმწიფო მმართველობის დახმარე- ბით უბრალო წესების შესრულებად გადა- ქცევა ხოლმე, მით უმეტეს მახინჯდე- ეროვნული გრძნობა: ნაცვლად საერთო ს- ყვარულისა საერთო საგნებისადმი ჩვენ ვხედავთ უაზრო ქებას ყველაფრის საკუთარის და დაგმობას ყველაფრის სხვისის. ეროვნულის გრძნობის ადგილს სახელმწიფოს შემ- წეობით იჭერს ნაციონალიზმი და შოვი- ზმი.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, პ- ველი მოციქული ეროვნულის იდეისა გე- მანიაში, ეუბნებოდა თავის თანამემამულე- „ვიყოთ გერმანელები და ვიქნებით კოსმ- პოლიტებიო„. დღევანდელ ნაციონალის-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2370.

სტუდენტები მყიდველთ ველარ აუდიან. წმინდა შემოსავლის ერთი ნაწილი ღარიბ სტუდენტთათვის გადაიდება, დანარჩენს აქციონერები-სტუდენტები გაინაწილებენ.

◆ პერმის საგუბერნიო ერობამ გადასწყვიტა, სასამართლოთი დაიბრუნოს ის 85.000 მანეთი, რომელიც კარგა ხანია იქაურ მკვიდრთა სტიპენდიებზე დახარჯა. ეს ფული სტიპენდიანტებს ჯერაც არ დაუბრუნებიათ.

◆ „ფინლ. გაზ.“ სწერს: ამ ბოლო დროს აგიტატორებმა ხელ-ახლა დაიწყეს მავნე მოქმედება. სცდილობენ წააქეზონ მთელი თემები და კერძო კაცები მთავრობისა და იმის განკარგულების წინააღმდეგ, უმთავრესად-კი, სამხედრო ბეგრის ახალწესდების წინააღმდეგ. ამის გამო ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ გუბერნატორებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და შესაფერი ზომები მიიღონ.

◆ საერო განათლების სამინისტრომ აცნობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ, რომ სასურველად მიაჩნია საშუალო სასწავლებლის მასწავლებელნი უფროს კლასის მოსწავლეთათვის მართავდნენ კვირა-უქმეობით სამეცნიერო კითხვებს, რასაკვირველია პოპულიარულს.

წერილი ქუთაისიდან

საღორიის ტყის მოჭრის შესახებ

ქალაქის ერთს საუკეთესო სიმდიდრეს შეადგენს საღორიის აგარაკი, სივრცით 900 დესეტინამდის. აგარაკს აქვს მშვენიერი მდებარეობა: გშორავს სულ გაკე, მასთან მაღლობი ადგილი. ცალ მხრივ ჩაუდის რიონი, მეორე მხრივ წყალწითელა; შუაზე დასერილია რიონისა და ტყიბულის რკინის გზის შტოებითა და ბაღდადის გზატკეცილით. წინად მთელი ეს აგარაკი დაფარული ყოფილა ტყით, მაგრამ ქალაქის გამგეთა დაუდევრობით ტყის ერთი მესამედი უკვე მოსპობილია. ამ მესამედის ერთი ნაწილი ეხლა გაცემულია სამოსახლოებად, დანარჩენი კი წარმოადგენს მუჩქნარს, რომლისგანაც ქალაქს არავითარი სარ[illegible] არა აქვს [illegible], ქალაქი იმ ტყეს მაინც მოუვლიდეს, რომელიც გადარჩენია ბარბაროსულად ჩეხვას. ყველგან შეიგნეს ტყის დიდი მნიშვნელობა, ყველგან სცდილობენ ტყეების გაშენებას; ქუთაისი კი, წინააღმდეგ, იმასაც სპობს, რაც იმისთვის ბუნებას უწყალობებია. სჩეხენ ტყეს. ყოველ წელს აქა-იქ სჭრიან 350 საჟენ შეშას. მოიჭრება შეშა თუ არა, ტყეს აქარავებენ საძოვრად და ნაკაფში მთელი ქალაქის საქონელი დათარეშობს და სპობს ახლად ამოყრილ ყლორტებს. ამგვარად ქალაქი ყოველ წელს სამუდამოდ ჰკარგავს 350 საჟენის ტყეს, ასე რომ—თუ კი „ზღვა კოვზით დაილევა“, რა გასაკვირველი იქნება, რომ საღორიის ტყეც მალე დაილიოს.

ამ ორი წლის წინად აგარაკის მმართველმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, ურჩევდა შემოეღო ეგრედ წოდებული „переложная система“, ე. ი., ტყე უნდა დაეყოფილიყო რამდენსამე ნაწილად და ყოველ წელს მხოლოდ თითო ნაწილი მოჭრილიყო. მოხსენების ავტორის აზრით, საღორიის აგარაკში ტყიანი ადგილი იქნება სულ 600 დესეტინა. თითო დესეტინაზე მოიჭრება არა ნაკლებ 20 საჟენ შეშისა; ასე რომ მთელს ტყეში მოიჭრება სულ 12,000 საჟენი შეშა. ყოველ წელს რომ მოიჭრას 350 საჟენი, რამდენსაც ეხლა სჭრის ქალაქი, მაშინ ეხლანდელი ტყე 34 წლიწადს იკმარებს. 34 წლის განმავლობაში კი პირველად მონაჭერი ნაწილი ეხლანდელს ტყეზე ბევრად უფრო დიდი იქმნება (ეხლანდელი ტყე 20-25 წლის მეტის არაა). ამგვარად ქალაქს სამუდამოდ შეენახება ტყეო. ქალაქის გამგეობამ მოხსენება საბჭოს წარუდგინა განსახილველად. საბჭოს სხდომაზე ზოგიერთმა ხმოსანმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ საღორიის აგარაკის ნიადაგი ძლიერ მწირია და იქ მონაჭერ ძირებზე ამონაყარი მუხა ვერ იხეირებს და ტყის მაგივრად ჩირგვნარი გაჩნდებაო. ამის დასამტკიცებლად კი უჩვენებდნენ ტყის ზოგიერთს ნაწილს, სადაც მართლაც უვარგისი ჩირგვნარია ტყის მონაჭერზე. ქალაქის საბჭომ, თვითონ რომ ვერ გადასწყვიტა ეს საქმე, დაადგინა, აგარაკის მმართველის მოხსენება გადაეცა განსახილველად და თავისი აზრის წარმოსათქმელად სპეციალისტებისთვის. მას აქეთ გადის 2 წლიწადი, მაგრამ სპეციალისტებს არავითარი აზრი არ წარმოუდგენიათ. ტყე კი ისევ იჩეხება და იჩეხება ძველებურად, ბარბაროსულად.

აგერ მოაწია ტყის მოჭრის დრომაც—თუმცა დრო ამდენ ხანსაც იყო—და კიდევ აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ აჯობებს ტყის მოჭრა. მე არ ვიტყვი, რომ საღორიის ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერი იყოს, მაგრამ ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ არც იმდენად უვარგისია, რომ მუხნარისთვის არ ივარგებს,—მუხნარი, მოგეხსენებათ, მწირ ნადაგზედაც კარგად ხეირობს,—და თუ ზოგიერთს ადგილას ტყის მონაჭერზე ეხლა ჩირგვნარია, ეს ნიადაგის ბრალი კი არა, ქალაქის დაუდევრობის ბრალია: როგორ უნდა გაიხაროს ტყემ, როდესაც მოჭრისათანავე საქონელს მირეკავენ საძოვრად? ისიც კი საკვირველია, ჩირგვნარი რომ დარჩენილა. ამის დასამტკიცებელ საბუთს ყველა თავის თვალით ჰნახავს, თუ გაირჯება და ადგილობრივ ინახულებს საღორიის ტყეს: იმ ადგილებში, რომელსაც საქონელი ვერ უდგება, მოჭრილ ტყეს მშვენივრად უხეირნია და ეხლა ისევ მოსაჭრელია. გარდა ამისა, ეს ორი წლიწადია ქალაქმა სცადა, ახალს გაკაფულს ტყეში საქონელი არ შეუშვა საბალახოდ, და მშვენიერი შედეგი მიიღო: მონაჭერმა ძირებმა მშვენივრად ამოიყარა, თუმცა სულ ხეებისაგან იყო დაზრდილული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ადგილი, სადაც შარშან გამოიჭრა ტყე, ეგრეთ წოდებული „კაკნარი“—მთელს საღორიის აგარაკში უუმწირესი ადგილია: მთელი ნიადაგი კაჟითაა მობებული და თუ კი ასეთს ცუდს პირობებში ხეირობს მუხნარი, როგორ დავიჯერო, ბევრად უკეთესს პირობებში ვერ იხეირებს!!

ვიმეორებ, თუ ტყის მოსპობა, განადგურება არ გვინდა, უსათუოდ ასე უნდა მოვიქცეთ: ტყე უნდა გაიყოს რამდენსამე ნაწილად და ყოველ წელს ხელდახელ უნდა მოიჭრას თითო ნაწილი, მხოლოდ აქა-იქ კი უნდა გაიმვას სათესლად საუკეთესო მუხები. ამ მონაჭერს ადგილში არამც და არამც საქონელი არ უნდა შეირეკოს სამი-ოთხის წლის განმავლობაში, სანამ ახლად ამოსული, თუ თესლიდან ამოსული მუხები იმდენად არ გამაგრდება, რომ საქონელმა ვერა ავნოს-რა. ტყის მოჭრის ამგვარ სისტემას, გარდა იმისა, რომ ტყე სამუდამოდ შეგვენახება, კიდევ შემდეგი მნიშვნელობაც ექმნება: ბევრად უფრო გაადვილდება და გაიაფდება ქალაქისთვის ტყის მოჭრა და შეშის გამოტანა; აილაგმება—შედარებით მაინც—ტყის ქურდულად ჭრა და ტყის მცველები ქურდულად მოჭრილ ხეებს ქალაქისაგან მონაჭერად არ მიგვათვლიან: გვეცოდინება, რომ მხოლოდ ერთს ადგილასა ქალაქის მონაჭერი და თუ სხვაგანაც აღმოჩნდა, ამაში ტყის მცველებმა უნდა აგონ პასუხი.

დონ-ვალიანი

წერილი ოზურგეთიდან

აქაური საქმეები

მართალია, პროვინციის ყველა ქალაქი ამ ჟამად მიყრუებული და მოწყენილია, მაგრამ ოზურგეთისთანა დაბეჩავებული ქალაქი ძნელი მოსაძებნია. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა ამ ქალაქში შეგნებული, ცოცხალი და მახვილ-გონებიანი არის: ქალაქში ბევრი კარგი საქმის გაკეთება-მოწყობა შესაძლებელია და კიდევაც შეიძლება, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ კაცი არ არის ამ ქალაქში, რომ საქმეს სათავეში ჩაუდგეს. ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმეა დაწყებული ამ ქალაქში, მაგრამ ყველა უპატრონობისა გამო ჰქრება და უმნიშვნელოდ რჩება. ამ მიზეზისა გამო დაიღუპა, ჩაიშალა და მოისპო თავიდანვე საკეთილო აზრით დაწყებული საქმე „შუამავლის“ სახელით. ჩვენებურმა გაზვიადებულმა შურმა-მეტოქეობამ მოუსპო სიცოცხლე ამ საქმეს. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაწესებულება 20 წლიწადზე მეტია, რაც არსებობს, ხუთი წლის წინად განახლდა, გამოცოცხლდა ეს დაწესებულება და ეხლა ისევ სძინავს სადათას ძილით. თავისუფალ-ეტლთა მსვლელობის საზოგადოება დაარსებულია დიდის იმედებით, მართლაც ძლიერ საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა ესეც, მაგრამ აქაც მტრობა და შური აქრობს ყოველსავე სიკეთის ნაპერწკალს. თვით-მმართველობის საქმეც ცუდად მიდის. ნათქვამია, „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და თუ-კი კერძო და საზოგადო ცხოვრების შორის შეიძლება ანალოგია გაიყვანოს კაცმა, სწორედ ოზურგეთის ახლანდელი წარმომადგენლები სახელს უტეხენ მთელ ქალაქს. გავლენიან, უფლებით აღჭურვილ დაწესებულებას რამე ზნეობრივი მნიშვნელობა მაინც უნდა ჰქონდეს საზოგადოებაზედ, ხალხის უმრავლესობაზედ; ოზურგეთის თვით-მმართველობას-კი მხოლოდ მავნებელი და საზარალო მნიშვნელობა აქვს. ნუ თუ არ უნდა გაჰკიცხოს შეკრებულმა საზოგადოებამ ისინი, რომელთა მიზეზით ასე უფერულად და უმნიშვნელოდ გადაიქცა თვით-მმართველობა.

დაბა-სოფლები

სოფ. აცი (აფხაზეთი). უწინ ამ სოფელს კარგა მოზრდილი ადგილი ეპირა და უხვი სახნავ-სათესი, იალაღითა და სათიბებით ერთი უპირველესი სოფელიც ყოფილა მთელს აფხაზეთში. მაგრამ შემდეგში, ჩამოუცლიათ მისთვის უმეტესი და საუკეთესო ალაგები და ამაზე სხვა სოფლები გაუშენებიათ. ესენი არიან: მიწარა, ბაკლანოვკა და პეტროვსკოე. პირველი (მიწარა) ოსმალეთიდან გადმოსული სომხებითაა დასახლებული; მეორე და მესამე კი რუსებით. სომხების რიცხვი 130 კომლი იქმნება; რუსებიც—ორსავე სოფელში ამდენია. ის ადგილები, რომლებიც უწინ აცის საძოვარსა და სათიბებს შეადგენდა, დღეს რუსების ხელშია გადასული. მდინარეც (აცის-წყალი) ამათ ფარგალში მოჰყვა. საზღვარი რუსებსა და აფხაზებს შუა მთელის ათის ვერსის მანძილზე სწორედ ზედ სახლის კუთხეში ჩაუდისთ აცელებს. ეს გარემოება სწორედ სულის შემხუთავია ამათთვის: არ შეუძლიანთ საქონელი ხელიდან გაუშვან, რადგან, თუ რუსების ადგილში გადავიდა, რა დროც უნდა იყვეს—ზაფხული თუ ზამთარი—იჭერენ და პატრონს, რამდენიც სურთ, იმდენს ახდევინებენ. კიდევ არაფერი, რომ დაჭერილ საქონელს ადამიანურად ეპყრობოდნენ. სწორედ შუაგულ სოფელშია ალექსანდრე შერვაშიძის (უკანასკნელ მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმა იყო) ქვითკირის სახლის ნანგრევები (კედლები ჯერაც უვნებელია). ზამთარ-ზაფხულ ამ ნანგრევებში საშინელი ლაფი დგას, რომელშიაც ძროხა თუ კამეჩი ყურებამდის იფლობა. აი ეს ნანგრევებია დაჭერილ საქონელის დასამწყვდევი ბინა. გულს უწუხებს ადამიანს აქ დამწყვდეულ პირუტყვის სევდიანი ბღავილი; პატრონი უფულობისა გამო ხშირად სამ-ოთხ დღეს ვერ იხსნის ხოლმე. ამას წინად ერთი აქაური აფხაზი-გლეხი თვალ-ცრემლიანი შესტიროდა გამვლელ-გამომვლელებს: „სამი დღეა ჩემი ძროხები ამ საშინელ ლაფში არიან ჩაყრილი. თუმცა იმათ არაფერი ზარალი მიუციათ ამ ზამთარში დამჭერისათვის, მაგრამ ის მაინც სულზე თითო მანეთს მახდევინებს. სამი დღეა ფულის საშოვნელად დავრბივარ და ძლივს ვიშოვნე, მაგრამ ერთი აბაზი მაკლია და ის კი, სანამ ამასაც არ მივუტან, ძროხებს არ მანებებს. შეხედეთ ღმერთს, მასესხეთ ერთი აბაზი და მშიერ-მწყურვალ ძროხებს ამ ლაფში ნუ დამარხრჩობინებთო“. აი მეორე მაგალითიც. მიწა თოვლით თეთრად იყო დაფარული. საშინელი ყანვა იდგა. ერთი შუახნის დედაკაცი (საუბედუროდ. ვი-

---

კი სრულებით არ უნდათ, იყონ ქვეყნის მოქალაქენი, არამედ სწადიანთ მთელი ქვეყნის ბატონობა. ისინი იმეორებენ ბისმარკის სიტყვებს: „ჩვენ, გერმანელებს არ გვეშინია არავისი, გარდა ღვთისა“. ასეთია ნაციონალური ეგოიზმი: პრაქტიკულად იგი თხოუ- ობს სხვა ერთა შევიწროვებას და დაჩაგვ- , მწერლობაში-კი ქადაგებს თავის ქებას უარჰყოფს ყოველსავე სიმართლეს და ჰარიტებას.

შოვინიზმის, ამ ერთა შორის უთანხმოდა მტრობის შედეგია საშინელი მილი- ზმი, რომელიც წარმოუდგენლად აქვე- ს ხალხს. 1899 წ. ევროპის უმთავრესს ომწიფოებმა დახარჯეს ჯარზე 5300 მილ. ნკი, მათის ჯარის რიცხვი შეადგენდა იდობიანობის დროს 3.120 ათასს კაცს, ქიანობის დროს-კი—19.700 ათასს. ადვილად გასაგებია ეკონომიური მნიშვნელობა მ ციფრებისა. კიდევ უფრო მავნებელია როვნულის განცალკევების დაცვა ზნეობი- ათვის. ყველასათვის ცხადია, როგორ უარ- ოფილია საერთაშორისო ურთიერთობაში ლემენტარული ზნეობრივი მოთხოვნილება- ; ყველაფერში გაბატონებულია მარტო თი ეროვნება, რომლის წინაშე გამქრალია ყვარული, სამართალი, პატივისცემა. ამის ყოფია ორ-ნაირი ზნეობა: ერთი თავისია- ების შესახებ, მეორე—სხვების შესახებ. ადა- ანები, რომლებიც ქადაგებენ სიყვარულს ყვასისადმი, თხოულობენ სიძულვილს სხვა რისადმი. რასაკვირველია, ასეთს პირობებში ულად შეუძლებელია დამყარდეს ჭეშმარი- ზნეობრივი პრინციპები. რაც ერთის მხრით შენდება, ის მეორეს მხრით იქცევა. ეროვნულის იდეისათვის მეტად ახირებული აზრები ებადებათ ზოგიერთებს: ფროუდი მზადაა ინგლისის სამხედრო ძლიერებას მსხვერპლად შესწიროს ინგლისის თავისუფლება და თვით-მმართველობა; იმავე მოსაზრებით დერულედს თავის სათაყვანებელ საგნად გაუხდია სამხედრო დიდება და კაზარმა, ლეონტიევი-კი თხოულობს რუსეთის გონების გაყინვას.

ყველა ზემო მოყვანილიდან რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ? ბ. უსტინოვი აქაც უარ-ჰყოფს თავის, ზემო მოყვანილს, აზრს და გვეუბნება, რომ ეროვნული იდეა მავნებელია და უკუ-ვაგდოთ იგიო. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით მის აღნიშნულ ნაკლულევანებას, ადვილად დავინახავთ, რომ მავნებლობა შოვინიზმს ეკუთვნის და არა თვითონ ეროვნულ იდეას. თითონ ბ. უსტინოვმა აღნიშნა ეროვნულის იდეის დამახინჯება და იდეა ვერ იქმნება პასუხის მგებელი დამახინჯებულის აზრებისათვის. ქრისტეს ვერ დავდებთ იმის ბრალს, რომ მისის სახელით მილიონი სული იწამა და დაიტანჯა. უსტინოვი ამბობს, რომ ეროვნება არ უნდა გავრცელდეს ძალით, სახელმწიფოს მიერო. მაგრამ აქედან განა იმის დასკვნა შეიძლება, რომ ეროვნებამ თავი უნდა დაიცვას ძალმომრეობისა და სხვის დამონებისაგან.

უსტინოვმა ერთმანეთში აურია ეროვნული იდეა და შოვინიზმი. რასაც თხოულობს ერთი, იმას ეწინააღმდეგება მეორე. როდესაც ადამიანი აღიარებს თავის უფლებას, მაგრამ ამასთანავე არ აღიარებს სხვის უფლებას, მაშინ არ არსებობს უფლება. სადაც რომელიმე ერი აღიარებს თავის ეროვნებას, თავის თავისუფლებას, ხოლო სრულებით ყურადღებას არ აქცევს, კიდეც უარჰყოფს სხვა ერის თავისუფლებას, იქ არ არსებობს ეროვნული უფლება, ეროვნული იდეა. აგეთია შოვინიზმი, რომელიც ნამდვილად უარმყოფელია ეროვნულის იდეისა. ძ სრული ჭეშმარიტებაა ყველა ის რეგრესიული მოვლენა, რომელიც ზევით ჩამოთვალა უსტინოვმა.

როდის დამყარდება ერთა შორის მშვიდობიანობა, როდის მოისპობა ომიანობა, როდის იმოღვაწეობენ ერები ერთად საერთო კულტურისათვის! როდესაც დამყარდება ეროვნული პრინციპი. ეროვნება სულიერი ერთობაა, ერთობა გრძნობათა, მისწრაფებათა, ეს ერთობა ჰქმნის ერთს განსხვავებულს სულიერს საზოგადოებას, რომელიც თხოულობს დამოუკიდებელს ცხოვრებას, ორგანიზაციის თავის ნებისა და ძალების თანახმად,—აი ეროვნული პრინციპი. ამის სრული, ყოველმხრივი განხორციელებაა საჭირო და არა უკუგდება. საჭიროა, რომ ერიც იმგვარადვე ხელშეუხებელი შეიქნეს, როგორც არის ხელშეუხებელი ადამიანის პიროვნება. კაცობრიობის პროგრესისათვის აუცილებლობას შეადგენს იმგვარივე დეკლარაცია ერთა უფლებათა, როგორც იყო 1789 წლის „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა“...

მაშინ დამყარდება ერთა შორის ძმობა და ერთობა, რადგან მხოლოდ ერთმანეთის პატივისცემა და უფლების აღიარება შეჰქმნის ნამდვილს ერთობას და კავშირს. მაშინ დადგება ის სანატრელი დრო, რომლის შესახებაც ოცნებობს ბ. უსტინოვი. „მომავალი დრო იქნება ხანა კაცთა სოლიდარობისა და არა საერთაშორისო განხეთქილებისა, ეს ახალი კოსმოპოლიტიზმი არ იქნება მე-18 საუკუნის კოსმოპოლიტიზმი, რომლისათვის ადამიანი განყენებული, ერის გარეშე მცხოვრები არსება იყო. ახალი კოსმოპოლიტიზმისათვის კი ადამიანი ეროვნულ წრეში გაზრდილი ადამიანი იქნება. ძველს კოსმოპოლიტიზმს სწამდა მხოლოდ ხელშეკრულობაზე დაფუძნებული სახელმწიფო და მიმართავდა განყენებულს კაცობრიობას; ახალი კი ამყარებს თავის ძალას სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ინტერესების შეერთებასა და დაკავშირებაზე, ერთა აუცილებელ დაახლოვებაზე საერთო სოციალურ ინტერესებისათვის და მიმართავს ადამიანობას. ახალი კოსმოპოლიტიზმს აქვს სხეული და სული, აქვს მომავალი. დღითი-დღე მრავლდება მისი მომხრეები. დადგება განთიადი, გაიფანტება ბნელი; დაიმხობა ეროვნულის მტრობისა, სიძულვილის და უთანხმოების ქვეყანა და დადგება ახალი ხანა, როდესაც ადამიანები, როგორც ძმები შეერთდებიან საერთო, საკაცობრიო იდეალებისათვის“!

აი მომავალი განვითარებისა, რომლის აუცილებელი პირობაა ეროვნული იდეის საყოველთაო აღიარება და გამტკ[illegible]ა...

კალ[illegible]ი

ნაობა ველარ გამოვკითხე) ფეხშიშველა, კაბა-ამოკარწახებული და სიცივისაგან საშინლად აცახცახებული, თვალიდან ცხარე ცრემლს აფრქვევდა, უკან ასე ათიოდე წლის ბიჭი და გოგო მოჰყვებოდნენ, — ესენიც ფეხშიშველა, მტირალნი—და მოთქმით ამბობდა: „ოთხი დღეა ჩემი მარჩენელი ორი მეწველი ძროხა მშიერ-მწყურვალი ამ ლაფშია ჩაყრილი, ფულსა მთხოვენ; ფული კი მე ქვრივ-ოხერს ვინ მომაქვავა, ვინ მომცა! ნეტა ვიცოდე, ამ ზამთარში, ამ თოვლში, ძროხებმა რა წაუხდინეს?“ მთელი სოფელი ამგვარ მდგომარეობაშია. ამისთანა უსიამოვნებას რომ აცელებმა თავი დააღწიონ, გადასწყვიტეს ზამთრობით, თუმცა კი, მართალია, მათი საქონელი ვერას მოსძოვს, ქირა აძლიონ იქაურ რუსებს (რომელთაც კომლზე 10 დესეტინა მიწა აქვთ, აფხაზებს კი ორიც არ ექნებათ). სულ საქონელზე იხდიან ათ შაურს. აცელებს წყალიც კი მოესპოთ. როგორც ზევითაც ვსთქვი, მდ. აცის-წყალი ბაკლანოვკის ფარგალში მოჰყვა. შარშან აცელები სთხოვდნენ აქაურ ოლქის უფროსს: ყოველ ზაფხულს კამეჩები უწყლობით გვეხოცება, გვიშველეთ, განკარგულება მოახდინეთ, რომ მდინარეზე თავისუფლად შეგვეძლოს მათი გარეკაო.

აფხაზი

—

მარტვილი (სამეგრელო). გაზეთის ფურცელს ისე ვერ გადაშლით, რომ არ ამოიკითხოთ, ამა და ამ სოფელში მოხდა კრება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად, ამა და ამ სოფელში გაიმართა წარმოდგენა და სხვა. მხოლოდ ჩვენს მარტვილსა სძინავს საღათას ძილით. მარტვილელებს ვითომ წიგნთსაცავიც გვაქვს, მაგრამ საწყალი სულს ლაფავს და ლამის არის სრულიად გამოესალმოს წუთი-სოფელს. სამკითხველოს მოსდის ერთი რუსული გაზეთი „Кавказ“-ი, რომლის ნომრებიც ნახევარი დაკარგულია. ამის გარდა მოუგროვებიათ ძველ-ძველი რუსული წიგნები, რომელიც არავისთვის გამოსადეგი არ არის და ოთხმოცდა თექვსმეტის წლის საქართველოს კალენდარი, გამოც. ვალერიან გუნიას მიერ. ესეც ისე უპატრონოდ ჰყრია.

მარიამიძე

—

ხევი (დუშეთის მაზრა). ხევში ყვავილი უფრო და უფრო აზარალებს ხალხს. ეს ყვავილი ჩვეულებრივი არ არის, შავი ყვავილია, რომელიც პატარების გარდა, აცრილ დიდრონებს, თითქმის ორმოცის წლისებსაც ეყრებათ და ძრიელ ძნელადაც რჩებიან. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ვინცა რჩება, მომეტებული ნაწილი ბრმავდება, ან არა და პირისახე საშინლად უსახიჩრდება. წელს ხევში კაი ზამთარია, თოვლი სულ ცოტა მოვიდა.

აქაური

—

ბარის-ოსეთი წლევანდელი ზამთარი ბარის-ოსებში ძლიერ ხმელი და ყინვიანია. ყინვას თან მოჰყვა ხველა, სურდო და ფერდის მჭვალი. მჭვალი ხშირად აზარალებს ხალხს, რადგან ცრუ მკითხავების გავლენით ექიმს არ ეძებენ და წამალს გაურბიან. ოცდა ერთს დეკემბერს ბარად კარგა თოვლი მოვიდა. წელს ბარის-ოსეთში თუმცა ბლომა და კარგის ღირსების სიმინდი მოვიდა, მაგრამ აქაურ რკინის გზის სადგურებში კვლავინდებურად არა ჰყიდულობენ სიმინდს. ეხლა კი ცოტ-ცოტათ დაიწყეს ყიდვა „მერკა“ სიმინდი ორ აბაზად, ცხრა-შაურად იყიდება.

ქართველი ოსებში.

წვრილი ამბები

—

რას მოგვიტანს 1904 წელი. პარიზში სცხოვრობს „წინასწარმეტყველი“ და ასტროლოგი, ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, მკითხავი ელი სტერი. აი, ამ მკითხავთან ყოფილა გაზეთ „მატენ“-ის თანამშრომელი და ამა 1904 წლის ამბები გამოუკითხავს. სტერს უთქვამს, 1904 წელს „უზნეო წელიწადი“ იქნებაო. ლიტერატურაში მატერიალიზმი გაბატონდება. პირველი თვალსაჩინო საქმე ის იქნება, რომ ინდოეთის ვიცე-კოროლი თანამდებობას თავს გაანებებს შემდეგ, შეერთებულ შტატების რესპუბლიკა ომს გამოუცხადებს გერმანიასა და რუსეთს. პრეზიდენტი რუზველტი ავად გახდება. იმის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოჩნდება. ამერიკაში ძალიან ბევრი მდიდარი გაკოტრდება. იაპონიის იმპერატორს უბედურება შეემთხვევა. ამავე წელს განიზრახავენ ჩინეთის იმპერატორის მოკვლას. კონსტანტინეპოლსა და ფილიპინზე მიწის ძვრა მოხდება. 7-დან 10 აპრილამდე საფრანგეთის სამინისტრო შეიცვლება. რუსეთს და ავსტრიას შორის უკმაყოფილება მოხდება. ინგლისი თავის პრესტიჟს დაჰკარგავს. ესპანიაში ანარქისტთა არეულობანი მოხდება. ჩინეთში დედაკაცებს ამოსწყვეტენ. უდიდესი მოვლენა-კი ის იქნება, რომ 1904 წელს დაიბადება გმირი ქალი, რომელიც საგმირო საქმეს 1924 წელს ჩაიდენსო.

—

ჭეშმარიტი მოსამართლე. ამერიკაში ძალიან ეშმაკი და მოხერხებული ქალები არიან. ამას წინად უკვე ვწერდით, ერთმა ქალმა როგორ უჩივლა კაცს, ამდენჯერ მაკოცა და გთხოვთ ფული გადაახდევინოთო. ამგვარივე საჩივარი აღუძრავს მეორე ქალს. ესეც ფულსა თხოულობდა, მხოლოდ კოცნისთვის კი არა, დამპირდა შეგირთავ და აღარ შემირთოო. ბრალდებულმა მოსამართლეს განუცხადა, ქალი შემთხვევით გავიცანი კვირა დღეს, სეირნობის დროს და დავპირდი, შეგირთავ მეთქი. მოსამართლემ, დიდად გ[illegible] და გამოცდილმა კაცმა, უსაყვედურა, მაგ[illegible]ეძრობა როგორ იქნებაო, მაგრამ მხედვ[illegible]ათ მიიღო ის გარემოება, რომ ამერიკულ კანონებით კვირა დღეს რაიმე საქმის დაჭერა, ვაჭრობა და სხვა აკრძალულია და ბრალდებული გაამართლა. რამდენადაც ვიცით, რუსული კანონითაც აღკრძალულია რაიმე საქმის დაჭერა. ეჭვი არ არის, ყმაწვილი კაცები მხედველობაში მიიღებენ ამ გარემოებას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 იანვარი

შუშა. ქალაქის თავად ამოირჩიეს მაჰმადიანი. ეს პირველი შემთხვევაა.

კოვნო. გახსნეს და აკურთხეს დედოფალ-მარიამ ალექსანდრეს ასულის მზრუნველობით აშენებული საავადმყოფო.

ტოკიო. რუსეთის პასუხს ამ ცოტა ხანში მოელიან.

პეკინი. ცინვანდაოსა და შანჰაი-გუანში მდგომი რუსეთის სამხედრო რაზმები მანჯურიაში წავიდნენ. მთელ პეჩილიის პროვინციაში ტიანძინის და პეკინის რუსეთის საელჩოების დასაცველად მცირე რაზმი დარჩა.

ცზამბო. ტიბეტის ექსპედიციამ დიდი სიცივეების გამო გოტანგასკენ დაიწია, სადაც უფრო ნაკლებ განსაცდელში იქმნება. იქ დარჩება ზოგიერთ დაბრკოლებათა აცდენამდე. იონხეზბანდი საკმაოდ ძლიერის რაზმით თხრილებით კარგად გამაგრებულს დიონკიაბში რჩება. იმან ორი ოფიცრით ინახულა ტიბეტელთა ბანაკი გურუში, სადაც მას ძლიერ თავხედად დაუხვდნენ.

პეტერბურგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 7 იანვარს ეკატერინეს ინსტიტუტში იყო.

8 იანვარი

ტოკიო. გარეშე საქმეთა მინისტრმა 7 იანვარს საიდუმლო საბჭოს დაწვრილებით აუწყა რუსეთთან მოლაპარაკების შედეგი.

შანხაი. ვუჩანის და ნანკინის ვიცე-კოროლები თავის საუკეთესო ჯარებს იუანშიკაის უგზავნიან.

სალონიკი. სამოქალაქო აგენტები დემერონი და მიულლერი მოვიდნენ. ამ მოკლე ხანში გენერალ ჯორჯის მოსვლას ელიან.

ვენა. რადგან ხმა გავრცელდა, ვითომ ერცჰერცოგი ფერდინანდ კარლოსი მოკლე ხანში ცოლის შერთვას აპირებდეს, ოფიციოზური გაზეთი „ვინერ აბენდ-პოსტი“-ი აცხადებს, ეს ხმა საფუძველს მოკლებულიაო.

სოფია (საკუთარ კორესპონდენტისაგან). რადგან საერობო კრება მომავლისათვის ფრიად საყურადღებო კანონ-პროექტებს განიხილავს, ამიტომ შეერთებულმა ოპოზიციამ დაადგინა საერობო კრებაში ხელ-ახლად მიიღოს მონაწილეობა და მთავრობის წინააღმდეგ იბრძოლოს.

მთავარმა ყველა ის პროექტები დაამტკიცა, რომელნიც ოპოზიციის დაუსწრებლათ გადასწყდა. ეს პროექტები „დერჟავნი ვესტნიკ“-შია გამოცხადებული. მცოდნეთა წრეებში უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ მთავრობას აზრადა აქვს ვალების კონვერსიას შეუდგეს და ახალ ვალების აღება განაგრძოს.—გენერალი ცონჩევი პარიზიდან სოფიაში დაბრუნდა.

ლონდონი. იაპონიის ელჩმა „რეიტერის ბიუროს“ წარმომადგენელს განუცხადა, რომ საქმის მდგომარეობა, რამდენადაც იგი იაპონიას შეეხება, არაფრით არ შეცვლილაო. იაპონია რუსეთის პასუხს ელის. იმან მომავალ პასუხის შინაარსი არ იცის და არც იმ ხმის შესახებ გაეგია რამე, ვითომ იაპონიამ—თუ პასუხი არ მოუვიდა—გადასწყვიტა, წინადვე დანიშნულ დღეს აქტიური მოქმედება დაიწყოს. იგი ვერ იტყვის, თუ როდის მიიღებენ რუსეთის პასუხს.

სუეცი. რუსეთის ტრანსპორტის გემი, „ორელი“ ზღვაში გავიდა. რუსეთის 9 ნაღმიანი გემი მოვიდა. კრეისერი „ავრორა“ არხში იმყოფება.

ვლადივოსტოკი. თეატრი „ზოლოტოი როგ“ არ დამწვარა. ანტრეპრენერი ნინინა—პეტიპა.

სოფია (მთავრობის წრეებიდან). გაზეთების „ცაიტ“ და „პესტერ-ლოიდი“-ს მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ბოლგართა ზოგიერთ უკმაყოფილო ოფიცერთ მთავარსა და მთავრობას ჩააბარეს მემორანდუმი, მოგონილი ამბავია. არც მემორანდუმი, არც სხვა რამ საბუთის ქაღალდი მთავრის სახლიდან არ მოუპარავთ. და ამის გამო ან სხვა რამ მიზეზით არც ერთ კარის კაცს სამსახურიდან გადადგომა არ უთხოვნია.

პეტერბურგის ბირჟა, 7 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	$37{,}42^1/_2$	
ლონდონისაზე ჩეკები	94,85	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,70	
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95	
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$424^1/_4$	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	334	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	282	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	$90^1/_2$	„
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	$83^1/_2$	„
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	$85^1/_4$	„
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92	მყიდ.
4 2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	87	„
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	100	„
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	237	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპანამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპანამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში

დაიწყო გასყიდვა:

1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნას, ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს და რქა-წითელის ჯიშებისა;

2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupestris mont და Riparia gl-სა.

ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებისათვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор.). Управляющему имѣніемъ А. М. Татевосянъ. (12—5).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი გამოცემა
წერა-კითხვის საზოგადოებისა

გურჯი ეროვნებისა,

თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

ვარდისფერი
გროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში ბევრი გლიცერინია,

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
უაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთ ჲოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა
და რიგაში.

(მც. 10.—7)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული

საქართველოს კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული და შევსებული შემდეგი განყოფილე-
1) საეკლესიო კალენდარი, 8) ცა და დედამიწა (ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები), 3) სახელმწიფ[illegible] მიმოხილვა, 4) კავკასია და საქართველო, 5) ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა და გემები მოსვლა, 6) იურიდიული ცნობები, 7) წონა, ზომა, საწყაო და სხ. 8) საოჯახო და საექიმო ცნობებ[illegible] სალიტერატურო განყოფილება, 10) ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, [illegible] შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X[illegible] გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირ[illegible] ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, ვ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, ვ. სურგულაძისა და სხ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით, კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთ[illegible] მანეთი. (3—3)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტო[illegible] მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მო[illegible] საზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ[illegible] ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—82)

Издат. Т—ва